



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მსოფლიო

1872

აგვისტო და სექტემბერი.

წელიწადი მეოთხე.



თბილისი.
ს. მელიქოვის და აშს. სტანია.
1872

წოდება თხზულებათა:

- ფიქსკოს შეთქმულობა (შიღ.) ნათ. . . . ნ. ჯვალაშვილისა.
სამშობლო (პოეზიადამ ლეკანბატონიშვილი) ნ. ლომურისა.
 * * (ლეჭი) სურამბ მოენიძისა.
ბარბიედაშ (ლეჭი) ნ. ლომურისა.
 დონ ჟუანი (ბაირონისა) თარ. ი. ბაქრაძისა.
 ჭაუოსკეთს ერთი მუგუსალი ჰელდა
 ისიგ მიუმტენ (კომედი) ვ. თარხან-მოურავისა
 ქალების წინააღმდეგ და სახარტებლოდ თარ. ე ლვანააშვილისა
 ათი მტერს ერთი მოუყარეს ანტ. ფურცელაძისა.
 მიმოსიღვა ინგილო-ჯანაშვილისა



მოქმედება მეორე.

სტუმრის მისაღები ოთახი შიესკოს სასახლეში.

გამოსვლა ჰირველი.

ლემონრა და არაბელა.

არაბელა. არა! დამერწმუნეთ, რომ შემცდარი ხართ და ის არის. შურიანობამ ველარა დაგანახევათრა რიგიანად.

ლემონრა. აჰ, აჰ! სწორედ იულიას სურათი იყო. შენ მე ვერაფრით დამარწმუნებ არაობას. ჩემი სილუეტი ცისფერ ლენტზედ ება, ის კი ალისფერზედ არის. ზადაწყვეტილია ჩემი ბედი!

გამოსვლა მეორე.

იზინივა და იულია.

იულია. (შეშოვლი). ბრაფმა თაეის სასახლეში მომიწვია, რომ უკეთ უყურო სენატში სელის ცერემონიას. ნეტა რით გაეატარო დრო. ბამართეთ რითიმე, ვიდრე შოკოლადს მოგვართმევედნენ. (არაბელა გაეა და მაშინვე უკანვე დაბრუნდება.)

ლემონრა. თუ გნებავსთ, სტუმრებს მოგიწვევთ.

იულია. ძალიან საჭიროა კია, სწორე მოგახსენო. იმათ-



თვის როდი მოესულეარ აქ. ისეე თუ შეგიძლიანთ თქვენ
 ეცადეთ ჩემი კაეშნის გაქარებებას, (ოთახში დადგნ ღმრთის
 თავს შეხარის), თუ არა და არც უიმისოდ დაეკარგავ რასმე.

არაბულა. (დაცინებით). თქვენი კი რა მოგახსენოთ—და
 თქვენი მშვენიერი კაბა კი ძალიან ბევრს დაჰკარგავს. რასბრ-
 ძანებთ, სხვა არა იყოსრა დიდი სასტიკობა არის, რომ კოხტა-
 პრანჭიების ლორწეტებს აკლდება მაგ თქვენი, მომხიბლავი მშვე-
 ნიერების მზერა, იჰ, იჰ, იჰ! ამ მარგალიტის წყალს უყურეთ—
 და, თითქოს ეს არის თვალების დაწვას უქადის ვისმეო.

იულია. (სარკეში უფრებით). შართლა, ჩემო კარგო! მაგრამ,
 განა შენ შენი ენაც გიქირაეებია ბრაფინასათვის? საუცხოვო
 კი გახლავსთ, სინიორა, რომ მოახლეებისთვის მიგინდვიათ თქ-
 ვენი სტუმრების აღერსი და შექცევა.

ლეონორა. საუბედუროდ, ისეთ ცულ გუნებაზედ გახ-
 ლაეარ ამჟამად, რომ ჰლამის თქვენი მობძანებისაგან მონიქე-
 ბული კმაყოფილებით ვერ დაესტებე.

იულია. საძაგელი ხასიათია ეგ. ჰიდეც მაგ ხასიათისგანა
 ხართ მოშეებული და ადამიანის რიგიანი მოკიდება არ იცით,
 სოცხალი ხასიათისა უნდა იყოთ, გრაფინა, თამამი და მახე-
 ლი. აი რა საშუალებით შეგიძლიანთ ქმრის მიზიდვა.

ლეონორა. მე მაგისთვის ერთი საშუალების მეტი არა-
 ვიცირა, და თქვენ ნასწავლს კი უარაარაობაში გამოვიყენებ.

იულია. (იმის სიტყვებს თითქოს უფრადღებას არ აპრობსო). ან
 თქვენ თავს როგორ ექცევით? მანა აგრე უნდა? მომეტებუ-
 ლი უფრადღება გმართებთ თქვენი სხეულისა. ხელოვნებას უნ-
 და მიჰმართოთ, სადაც ბუნება დღინაცვალსავეით მოგქცევიათ.
 ხალმობიერი ვნებათ კვალი გამოსქვირაეს მაგ თქვენ ლოყებში:
 ბლომა ფერი წაისეით, რომ დაიფაროს. საწყალო ქმნულებავ! მაგ
 ყოფით თქვენი პირისახე მუშტარს თავისდღეშიაც ვერ იშთენის.

ფიესკოს შეთქმულება



ლეონორა. (მზიარულად ბელლას). მაეიხაროთ, ^{ქველდღას} არა მგონია, რომ ფიესკო დამკარგოდეს, და თუ დამკარგებდა,

არა დამიკარგავსრა. (როზაზე შემოაქვს შოკოლადი; ბელლა ასხავს).

იულია. რაო, რა დაკარგეაზედა სთქვეით? მაგრამ, ლმერ-
თო ჩემო! ნეტა რამ აფიქრებინა მაგ თქვენს თავს ის სამწუ-
ხარო აზრი, რომ ფიესკო შეირთეთ. რას აქნეთ, ქალოჯან,
იმის ტანადობას, თუ კი ყველას თვალში ექნებით გაჩხირუ-
ლი და შედარების საგნად გაგხდინან? სწორე გითხრა, ჩე-
მო საუნჯეე, უმაქნისს ან სუღელს ეისმეს შეურთეიხართ ფი-
ესკოსთვის. (ხელს გამოართმევს და შემბრალეზის ხაზით.) საბრალო!
აბა ერთი მითხარით, თუ კი მალალ საზოგადოებაში აქეს კაცს
ფეხი გადგმული, ის კაცი რა გზით იქნებოდა თქვენი ფარ-
დი. (შინჯანს აიღებს).

ლეონორა. (ღიმილით ბელლას). მუ არა და თითონ იმას
უნდა მოესურებინა იმ მალალი საზოგადოებიდგან ფეხის ამო-
დგმა, რალა?

იულია. ბრათე სასიამოვნო გარეგნობის პატრონია, გა-
ნათლებულია, და გემოვნებაცა აქეს. ბედი შეეწია და მალალ
საზოგადოებაში ნაცნობობა მოიპოვა. ამასთან მსურვალე
თვისებისაც არის. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ ხასიათების
კაცი, გაცხარებული და გახელეებული, უსხლტება ხელიდგან
დიდგანათლებულ საზოგადოებას და მოდის შინ; ცოლი სადა
დღის ალერსით ეგებება; იმის სიმსურვალეს ნოტიო, ყინულის
მსგავსი კაცნით უციებს, და ისეთის წვა-დაგვით ეტრფიალე-
ბა, თითქოს არ ემატება იმისთვის ეს ტრფობაო. საბრალო ქმა-
რი! იქ იმას აღყვავებული იდეალი უღიმის—აქ კი წუწუნის
მსგავსი მგრძნობელობა აბეზრებს თავს. სინიორა, ლეთის გულისა-
თვის! ბრძანეთ რომელი აირჩიოს, თუ ჯერ გონება არ დაუკარგავს!



ლომნორა. (შინჯანს შიართმევეს). მე თქვენს არჩევას ვერჩევი, თუ გონება დაუკარგავს უკვე.

იულია. ძარგი მაშ. მე შხამი ისევე შენს გულს ჩაეწეეთოს. ძრწოდე მაგ გესლიანობისათვის, მაგრამ ძრწოლამდე ჯერ ს ი რ ც ხ ე ლ ი ს ფ ე რ მ ა დაგნთქას?

ლომნორა. მტყობა, სინიორა, მაგ საგანსაც ახლო სცნობთ თქვენს მაგრამ, მითომ რატომ არაო? მე ხომ საპირიფარეშო მოხერხების მეტი არა არისრა?

იულია. ჰხედავთ! სჩანს ჭიას გახელემა ნდომებია, რომ იმან თავის ბუნებითი მახილგონიერების ნაპერწკალი გამოიწუროს. ამ თავით ეს ურიგო არ არის. ზეხუმრებოლით, სინიორა! ხელი მომეცით შერიგების ნიშნად.

ლომნორა. (ხელს აძლევს და კილოიანად). იმპერიალი, ჩემი რისხვისა ნუ შეგეშინდებათ.

იულია. დიად, სულგრძელებით არის ნათქვამი! ნეტა ეიცოდე, გრაფინა, მითომ რათ უნდა მეშინოდეს. (შაგრძელებით და ვერაგულოდ). მე თუ ერთი პიროვნების სურათს ვატარებ,— იქილამ განა ცხადად არა სჩანს, რომ მისი დედანიც ძვირფასია ჩემთვის? თქვენ ამაზედ როგორა ჰფიქრობთ.

ლომნორა. (შეშოთაებისაგან წითლდება). რა ბძანებაა. მე ვფიქრობ, რომ მაგგვარი დასკვნა აჩქარებულაია.

იულია. მეც აგრე ვფიქრობ. მ უ ლ ი გონებას როდი ეკითხება. ჰეშმარიტი გრძნობა შეუხამებელია.

ლომნორა. ლმერთო ჩემო! ნეტა მითხრა მაგ ჰეშმარიტებამდის რამ მიგიყვანათ.

იულია. შებრალებამ, მარტო შებრალებამ.... თქვენ ჯერ არ დაგიკარგავთ თქვენი შიესკო. (აძლევს თავის სილუეტს და პოროტად ხარხარებს).

ფიქსკოხ სუტქმულოზ



ლეონორა (სიმწარით). ჩემი სილუეტო? თქვენა გქონდათ? (მწუხარებით სავარძელში ჩაეცემა). **ოჰ**, უსეინი დისოე! გქონდათ? ზინზლინოთქაჰ

იულია (დღესასწაულებრივად). მაგიერი გადაგიხადეთ, თუ ვერა? ხომ გადაგიხადეთ? სჩანს, სინიორა, გეილიანობა წელანვე სულ გამოგელიათ. (ხმა მალლა იძახის). ძარეტა მომართენ! ჩემი საქმე გაუთაეე. (ლეონორას ნიკაზედ ხელს უსაცუნებს). ნუ გეშინიანთ, ჩემო კარგო! ეს სილუეტო დამთხვეულობის დროს მომცა. (ზალს).

გამოსვლა მესამე.

კალკანიო შემოდის.

კალკანიო. იმპერიალი აქედგან ატკრეცილი სახით გამოვიდა და თქვენც აგრე აღშფოთებული ხართ—რას ჰნიშნაეს ეს, მადონა.

ლეონორა (ღრმა მწუხარებით) არა, ამ გეარი რამ არა ჯერ არაეისგან გაგონილა!

კალკანიო. ღმერთო ჩემო! სტირით თუ?

ლეონორა. დამეკარგეთ აქედგან, თქვენ ულმობელის მეგობარი ხართ.

კალკანიო. შინ—ულმობელისა? თქვენ მე მაშინებთ.

ლეონორა. ჩემი ქმრისა—შეესკოსი.

კალკანიო. ნეტა რაზედ ამბობთ?

ლეონორა. მხოლოდ ერთს ბოროტმოქმედებაზედ, რომელიც თქვენ კაცებისთვის ძალიან ჩვეულებრივია.

კალკანიო (ხელს დაუჭერს და მხურვალეობით). სინიორა, მე მაქვს გული—მომტირალი სათნოებისათვის გამზადებული.



ლემონრა (ცოფად). თქვენ კაცი ხართ—და მაშინ არც თქვენი გულია საჩემო.

კალკანიო. ჩემი გული თქვენთვის არის გამზადებული მხოლოდ თქვენით არის სრული. ოჰ, ნეტავ იცოდეთ, როგორ უზომოდ და ძლიერად...

ლემონრა. თქვენ სტრუობთ!—გინდათ დამარწმუნოთ და მოკმედებას კი არა ჰფიქრობთ.

კალკანიო. ზეფიცებით!

ლემონრა. ტყუილი ფიცია! დაცხრით, თუ ღმერთი გწამს! თქვენა ჰლლით ღეთის მარჯვენას, რომელიც ფიცებსა სწერს. ძაცებო, კაცებო! ყველა თქვენ ფიცს რომ ეშმაკებად შეეძლოს გადაქცევა, ისინი ცასაც კი დაიპყრობდნენ და ყველა ანგელოზებს ტყვედ წაასხამდნენ.

კალკანიო. თქვენ მწუხარების გაელენის ქვეშ ხართ, გრაფინა. მწუხარება უსამართლოსა გზდისთ. ნუ თუ მთელმა სქესმა უნდა ზღას ერთი კაცის დანაშაულობა.

ლემონრა (დასტურებით შეჰხედავს). მე მთელს თქვენს სქესს ერთს კაცში ვცემდი თაყვანს, მაშ რატომ ერთს კაცშივე არ შევაჩვენო ის?

კალკანიო. აბა სცადეთ, გრაფინა! პირველად თქვენი გული შემცდარა... მე ვიცი ადგილი, სადაც ის თათის შეცდომილების გასწორებას შეიძლებდა.

ლემონრა. თქვენი ცრუპენტელა ენა შემოკმედის განძევებასაც შეიძლებს მის ქმნულებათაგან. მე თქვენი ლაპარაკის სმენა არა მწადიან.

კალკანიო. მაგ გარდაწყვეტილებას ჩემი მკერდი დღესევე უკუ გაგდებინებდათ, თუ...

ლემონრა (უზრადლებით). დაასრულეთ, თქვენი... რაო?

ფიქსიონალური პიესის სიუჟეტი



კალკანიო. ჩემი მკერდი გამზადებულია მეთქი გაუთხოვო
ბოს გული ყველასგან დატყვევებულს და მოგებით დატყვევებულს
დაკარგული სიყვარული.

ლეონორა (ვერაგულად). სიყვარული?

კალკანიო (დაუხოკებს და მზურვალედ). დიალ, რაც მინდო-
და ესთქვი. ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, მადონნა! სიყვარული მეთქი! ჩე-
მი სიცოცხლე და სიკვდილი—თქვენს პასუხზედ არის დამო-
კიდებული. თუ ჩემი მგრძობელობა—დანაშაულობაა, მაშ
შეერთდნენ ბიწიერებისა და სათნოების წყერები, და ზეცა და
ჯოჯოხეთი ერთ შეჩვენებად შერთული—მეხსავეთ ზედ დაენ-
გრეს ჩემს თავს!

ლეონორა (მრისხანებით უკან დაიწევს და შედიღურად). ჰო,
მაგ გვარ მონაწილეობას მიქადდი, თვალთ-მაქცო! მაგ მუხლ-
მოდრეკით შენ უღალატე მეგობრობასაც და სიყვარულსაც.
მამეცაღე, თვალთ ალარ დამენახეო! საზიზღარო სქესო! აქამ-
დის შე მეგონა, რომ შენ მართო დედაკაცებს ატყუებდი; და
ის კი ალარ ვიცოდი, რომ შენი თავის მოღალატეც ჰყოფილ-
ხარ!

კალკანიო (თავზარ-დაცემული დგება). ბრაფინა!

ლეონორა. ის არ იქმარა ამ მლიქვნელმა, რომ ნდობის
სამღრთო ბეჭედს შეეხეო, არა—ისიც მოუწადინებია, რომ
წმინდა სათნობის სარკე დახშოს თავის გესლიანი სუნთქვით
და ჩემს უმანკოებას ლალატობა შთააგონოს.

კალკანიო (ანჭარებით). თუ ლალატობას იტყვით,—მარ-
ტო თქვენ არ იქნებოდი იმაში დანაშაული, მადონნა.

ლეონორა. მესმის, მესმის! მანა ჩემს უბედურებას ჩემი
გრძობები შენ სასარგებლოდ უნდა მოეხიბლა? შენ ეს არა
ბოლოდნია მხოლოდ, (ამაყებით) რომ თვით უმაღლესი უბედუ-



რება—~~შ ი ე ს კ ო ს გ უ ლ ი ს თ ე ი ს ე ნ ე ბ ა~~—~~აქვეთველ შიგბი-~~
 ლებს დედაკაცის გულს. ~~ბამეცალე!~~ შიესკოს ~~დაშდაბლოუნა ეი-~~
 ლაც ქალკანიოს კი ეერ აამაღლებს, და კაცობრიობას კი დაა-
 მდაბლებს. (სწრაფად გადის).

ქალკანიო. (თავზარ-დაცემული, გააცილებს თვალებით. შემ-
 დგ უბღზედ ხელს დაირტავს და გაეა). მათი შე უგუნურო, ჩემო
 თეო!

გამოწვლა მეოთხე.

არაბი და შიესკო.

შიესკო. ეს ვინ იყო, რომ გაეიდა აქედგან?

არაბი. მარკიზ-ქალკანიო გახლდათ.

შიესკო. ეს დივანზედ ხელცახოცი, რაღაა? ჩემი ცოლიც
 აქა ყოფილა?

არაბი. ეს არის ეხლა შემხედა გრაფინა, ძლიერ აღელ-
 ვებული ბძანდებოდა.

შიესკო. სულ სველია ეს ხელცახოცი. (ინახავს). ქალკ-
 ნიო აქ იყო? ლეონორაც ძლიერ აღელვებულია. (მოფიქრების
 შემდეგ არაბს). საღამოზედ გკითხავ, თუ რა მომხედა აქ.

არაბი. ბელლას მოსწონს, როცა ეუბნებიან ქერა-
 თმიანი ხარო. მეც საღამოზედ გიპასუხებთ.

შიესკო. ახლა—ოცდა ათი საათი ხომ გაეიდა. პასრუ-
 ლე რაც შეგიკვეთე?

არაბი. ნატამალამდის, თქვენო ზრწყინვალეზედ.

შიესკო (ჯდება). მაშ აბა მითხარ რასა უბედობენ ღო-
 რიებზედ და ეხლანდელ მმართებლობაზედ.



არაბი. მეტის-მეტად ჰლანძლავენ. რაღა ბევრი თავი შევიღწეოთ: ღორია ციებასავეთ აცახცახებს იმათ. ზინცტინის სიკედლისავეთა სძულსთ. შეელანი დრტვინავენ. ასე იძახიან: შრანგები ზენუასათვის ვირთაგვაები იყენენო; კატა—ღორიამ სულ გადაჭამაო ისინი და ახლა თავეებსაც მიჭყოვო ხელი.

ფიქსკო. მე მართალსა ჰგავს. მაგრამ მაგ კატის მომრევი ძალი არა ეგულებათ რა?

არაბი (გულგრილად). როგორ არა—მთელი ქალაქი თავი-დგან ბოლომდის ერთგამოჩენილზედ ყაყანებს,—გამოჩენილ... აი იმ...—რამ დამაფიწყა იმის სახელი.

ფიქსკო (ადგება). უმსგავსო! იმის სახელის დაფიწვება ისე-ვე ადვილია, როგორც იმის გაკეთება ახელი. მანა ზენუაში იმ ერთზედ მეტია ვინმე?

არაბი. თუ გრაფი ლეანია არის ერთზედ მეტი, ისიც იქნება.

ფიქსკო. მე სხვა საქმეა. ჩემ გაქსოვებულ ცხოვრებაზედ რაღას ამბობენ?

არაბი (გაფაციებოთ უცქერის). მოიხსენეთ, ბრაფო ლეანია!—მტყობა, რომ ზენუა დიად აღმატებული აზრისაა თქვენზედ. მერას გზით ვერ მოუნელებია, რომ მალალი შთამოშაელობის კაცი, თავიანი და გავლენის მქონე, ნიჭთა მორჭმული და გამჭკრიახობით სრული, ოთხი მილიონი ქონების პატრონი, თავადის სისხლისა, ისეთი კაცი, როგორც ფიქსკოა—რადღა, რომლისკენაც მხოლოდ ერთი ნიშნებით მსწრაფლად მიმართებოდა ყველას გული...

ფიქსკო (იბულებით ზურგს შეაქცევს). მოდი და შენ მოისმინე ეს ამ უმაქნისისგან.

არაბი. მართის სიტყვით, ვერ მოუნელებიათ ის შემთ-



ხევეა, რომ ბენუას უდიდესს კაცს ჰლამის ძილში გამოეპაროს ბენუას დაცემა. ბევრს გული სტკივა თქვენთვის — ძალიან ბევრი დაგცინისთ, მომეტებული ნაწილი კი წყევლა-შეჩვენებას გითელისთ. მხოლოდ იფხუიტს შეუძლიან სუნით შეტყობა, რომ დასაძინებელ ხალათში მელა შემძერაღა.

ფიქსკო. მელას მელავე მიაგნებს. იმაზედ რაღას ამბობენ, რომ გრაფინა იმპერიალის ვეტრფი?

არაბი. იმასა, რისაც თქმას თქვენ წინ ვერ გაგებდაე.

ფიქსკო. თამამად სთქვი. რამდენიც მკაფიო რამ იქნება, იმდენი უმჯობესია. აბა... რას ამბობენ!

არაბი. არ ამბობენ კი, ყველა ყაფაზანაში, ტრახტირებში, ბაზრებში, ღლეობებში და სადაც კი ხალხს თავი აქვს მოყრილი, ყველგან ყვირილით ყელს იხევენ, რომ...

ფიქსკო. რომ რაო? გიბძანებ სთქვა!

არაბი. რაო და — რომ თქვენ სულელი ხართ!

ფიქსკო. ჩინებულია! მაგ ამბისთვის აჭა ცეხინი. მასხარის ქუდი მზურავს კიდეცა მაშ, რაღა; გენუელები კიდეც შეექცევიან ჩემით; მაშ თავსაც ჩქარა მოვიპარსაე, რომ იმათ მასხარეთში აღგიღის დაქერის უფლებაც მოვიპოვო. აბრე-შუმეულის ვაჭრებმა როგორღა მიიღეს ჩემი საჩუქრები?

არაბი (მასხარაობით). სულელო, იმათ საწყალ ცოდვილებად მოიკატუნეს თავი.

ფიქსკო. შენ ჭკვაზედ ხომ არ წაიბორძიკე?

არაბი. უკაცრეად. მგების რამდენიმე ცეხინი კიდე მივიღო შეთქი.

ფიქსკო. (იღინის და ერთსაც კიდე აძლევს). მაშ — საწყალ ცოდვილებათაო ..



არაბი. იმგვარებად, თითქოს თავებს სკრიდნენ. არაბი არის ეხლა აპოკალიფსი. სულით-ხორციით თქვენ გვეუბნებიან ისინი.

ფიქსიონი. მე ჩემთვის სასიამოვნოა. იმათ გაუღონა აქვსთ ზენუის მდაბიო ხალხზედ.

არაბი. რა ამბავი იყო, რომ გენახათ! სოციალურად გასწვდა სულგრძელების გემო არ გავიღე. მიჭებდავით კისერზედ მუკიდებოდნენ; ლამაზმა გოგონებმა, თითქოს ჩემი მამაპაპისგან დამკვიდრებული ფერი შეეყვარესო, — ისე ტყლოშნით მოჭფინეს ჩემი პირის სახე, მთვარის დაბნელებას რომ მიგავს. ჰაი გიდი, ყოვლად-შემძლებელია ოქროვ, მეთქი; არაბის გათეთრებაც კი არ გიჭირდება, მეთქი.

ფიქსიონი. შენი აზრი იმ ნიადაგზედ უკეთესია, რომელზედაც აღმოცენებულა. ძარგი ამბები მომიტანე, მაგრამ მაგ ამბებიდან საკმე რამ გამოვა?

არაბი. ისე, როგორც შეგგუფებული ღრუბლებიდან მგზი გამოსჭექს ხოლმე. შევლგან ჩურჩულებენ, ხროვებად გროვდებიან, გაიფლის თუ არა ეინზე უცნობი, მაშინვე „ჰჰუ“-ს წაიძახებენ ხოლმე; სულის შემხუთველ ჰაერს მოუცვია მთელი ზენუა. უკმაყოფილობას შეგ ღრუბელსავეთ დაუბურავს რესპუბლიკა: ოღონდ ქარმა ჰმოიქროლოს, თორემ ქექა და სეტყვა მსწრაფლად ასტყდება.

ფიქსიონი. აცა, ჩუ! ეს ხმაურობა რას ჰნიშნავს?

არაბი. (შანჯარასთან მიიბნენ). ხალხია, — სინიორიიდან დაბრუნებულა.

ფიქსიონი. ჰო, დღეს პროკურატორის ამოჩვენა იყო. უბნანე ეკიპაჟი მომართვან. არა მგონია, რომ ყო-



ლობა როგორც რიგია, ისე გათავებულიყოს. ხმალიც და მან-
ტიაც... ჩემი ორდენი სადღაა? ხიზლინიშეხა

არაბი. სინიორ, მე მოგპარეთ და დავაგირავე.

ფიქსკო. მიხარია, რომ აგრე გიქნია.

არაბი. მეარის მარტო? ჯილდოს კი არ მიბოძებ?

ფიქსკო. ჰო, იმიტომ რაღა, რომ მანტია კი არ მოგი-
პარაეს?

არაბი. იმიტომ, რომ ქურდი ვიპოვნეთ.

ფიქსკო. ხმაურობა ახლოედება. ჩუ! ეს უმადურობის ყა-
ყანსა ჰგავს. (სწრაფად). მაიქიც, ალყაფი გააღე. რაღაც წინაღ-
გრძნობა შეუბნება. ღორია ახირებული თაეხედია. ს-ხელმწი-
ფო ნემსის წვერწედ ირყევა. შრილობა უშფოთრად ვერ გა-
თაედებოდა.

არაბი. (შანჯარასთან). ეს რას ეხედაე? ბალღბის ქუჩის
მთელ სიგრძეზედ ხალხის ხროვა მოარბის-- შეიარაღებული...
სენატორები აქეთ მოარბიან.

ფიქსკო. არეულობაა სწორედ. არიქა, შეერიე ხალხში
და ჩემი სახელი უქაღაგე. მკადე, რომ აქეთ გამოაბრუნო.
(არაბი გაიქცა). რასაც ჭანჭველასაეით დაუცხრომელი გონე-
ბა ვაივაგლახით აგროვებს ერთად, იმას შემთხვევითი ქარიშხა-
ლი ერთი თვალის დახამხამებაში აღგვის ხოლმე.

გამოსვლა მეხუთე.

ფიქსკო, ცენტურნიონე, სიბო, ასხერატო, აღიანქოთით
შემოცევიან ოთახში.

სიბო. ბრაფო, ჩვენს მრისხანებას მიუტყვეთ, რომ ასე
მოუხსენებლად შემოედღივართ.

სენტურიონი. მე საშინლად გამოუპატიურა მის-წულმა, მთელ სინიორიის კრებაში.

ასსპრატო. ღორიამ შევინებულჰყო ოქროს წიგნი!...

სენტურიონი. აი ამიტომაცა ვართ აქ მოსული. ჩემით თქვენ ყველანი ხართ შეურაცხყოფილი, ამიტომაც მაგიერის გადახდაში ყველანი უნდა დამეხმარნეთ. საკუთრად ჩემი შეურაცხებისათვის მაგიერის გადახდაზედ შემწევებს როდი მოეძებნიდი.

სიბო. ღიად, მაგით ჩვენ ყველანი შეურაცხ-ყოფილნი ვართ. ჩვენ ყველას გემართებს ცუცხლი და ნაეთი ვაფრქვიოთ!

ასსპრატო. ხალხოსნობის უფლებები გაქელილ არიან. რესპუბლიკის თავისუფლება სასიკვდილად არის დაკოდლი.

ფიქსკან. თქვენ აგულისებთ ჩემს გამოძიების-მოაყვარეობას. შერე...

სიბო. ოცდა მეცხრე ამომრჩეველი იყო ის, აილო ოქროს კენჭი და პროკურატორის ამოსარჩევად უნდა ჩაეგდო. ოცდა რვა კენჭი იმამდისეე იყო მოკრებილი. თოთხმეტი ჩემენ იყო და თოთხმეტიც ლომელლინოსკენ. ღორიასა და ამას ჯერ არ ჩაეგდოთ...

სენტურიონი (აწვეთინებს). ღიად, ჯერ არ ჩაეგდოთ. მე სიბოს მხარეს ჩაეგდე, ღორიამ კო... (ნეტა ჰგრძნობთ იმ დაკოდვას, რაც ჩემს პატიოსნებას მოაყენეს?) ღორიამ...

ასსპრატო (აწვეთინებს). მას აქეთ, რაც ბენუას კიდევს ზღვა ჰბანს, ჯერ ამგვარი არა მომხდარა რა!

სენტურიონი (აგრძელებს თავის ლაპარაკს ახირებული ვაცხარებით). ღორიამ, ბატონო, თურმე მანტიის ქვეშ მახვილი ჰქონდა და დამალული, იშიშვლა ეს მახვლი, შეაგო ზედ ჩემი აღმამრჩეველი კენჭი და ეუბნება კრებას...



სიგო (წვეულებს). «სენატორებო, ამას ძალუ არაა ექნა განგმირულიაო; ლომელოინოა პროკურატორიო! სენატორებო სენატორიონი. ღიად... «ლომელოინოა პროკურატორიო» — და მახელი დააგდო სტოლზედ.

ასხპრატო. ღიად, ასე სთქვა: «ძალა არა აქვსო!» — და მახელი სტოლზედ დააგდო.

შიასპო (რამდენიმე ხნის დუმის შემდეგ). ახლა რა გწადიანთ ჰქნათ?

სენატორიონი. რესპუბლიკა შიგ გულშია განგმირული, რა გეწადიან ექნათო?

შიასპო. სენტურონე, ბალხს სუნთქვაც მოჰხრის ხოლმე, მაგრამ მუხების მოსახერხელად ქარიშხალია საჭირო. მე გკითხავთ რა გადასწყვეტეთ, მეთქი?

სიგო. ჩემს აზრით, ბენუას უნდა ეკითხოთ, რა სწადიან.

შიასპო. ბენუასა? ბენუას? აჰარა, თავი დაანებეთ ბენუას! მოუძლოურდა, რალა შეუძლიან; რასაც კი ხელს მოჰკიდებ, ყველა ფერი ინგრევა ბენუაში. მანა იმედი გაქვსთ პატრიციებისა? იქნება იმიტომ, რომ სახეს უგემურად იგრევენ ხოლმე, როდესაც სახელმწიფო საქმეებზედ ჩამოვარდება რამე სიტყვა? ისინიც დუტ ვეთ! ლეანტის ფარჩეულის საპალნეებში იმათი გმირული ცეცხლიც ჩააქრო; იმათი სულელებიც მსტინდეთის ფლოჯს კრთომით დაჰფრენენ ზედ.

სენატორიონი. მაშ თქვენ არა გცნობიათ. ჩვენი პატრიციები. მოახდინა თუ არა ღორიამ ეს კადნიერება, მსწრაფლ იმათ, ასობით, გაიგლიჯეს სამოღლები, გამოცევიდნენ მეიდანზედ და — სინიორიაც დაკარგილდა.

შიასპო (დაცინვით). ისე, განა, როგორც ქარის დაცემისაგან მტრედები ვაიფანტებიან ხოლმე?

ცენტურიონი. არა, როგორც თოფის წამლის კარები
 როდესაც ნაპერწკალი დაეცემ თ.

ციბო. ხალხიც განძინებულია. რას არა იქს განძინე-
 ბული ეშვი?

შიქსკო (იქინის). ბრმა, უღონო კოლოსსი! ჰერ ერთ
 ვაიფავლახ — ალიანქოთს ასტეხს თავის მოუქნელი ძეგლებით,
 დაემუქრება მალალსაც და დ ბალისაც, მახლობელსაც და შო-
 რეულსაც თავის დაღრენილი პირით, და ბოლოვს იმით ათა-
 ეებს, რომ ძაფში გახლართვისაგან დაეცემა. სულ ტყუულია,
 ბენუელებო! ზღვის მბძანებელის დრო წაეიდა. ბენუამ თვი-
 თონ დასცა თავისი თავი ბენუა ეხლა იმ უძლეველ რომსა
 ჰგაეს, განაზებულ ბავშვს ოკტავიუსს რომ ჩ უეარდა ხელში
 ბზრიალასავით, ბენუას თავისუფალი არსებობა აღარ შეუძლი-
 ან. ბენუას ხელმწიფე უნდა ჰყვანდეს მფარველად, ხელწიფე
 უჭირს ბენუას: და თქვენც, რაც შეგეძლოსთ, თავი მოუდრი-
 კეთ დამთხვეულ ჯიანთინოს.

ცენტურიონი (გაცხარებით). მაგას მაშინ ვიზამთ, როდესაც
 მშფოთარე სტიქიოსნი დასცხრებბან და ჩრდილოეთის
 პოლური სამხრეთის პოლუსს. შეუერთდება! წაეიდეთ, მეგობ-
 რებო.

შიქსკო. მოითმინეთ, მოითმინეთ! თქვენ რაღაზედ დაჰ-
 ფიქრდით, ციბო?

ციბო. არაფერზედ, რაზედ უნდა დაეფიქრებულიყავ, თუ
 არ იმ კომედიანზედ, მიწის ძერას რომ ეძახიან.

შიქსკო (ანდრიანტთან მიიყვანს იმით). აბა ამ სურათს შეჰ-
 ხედეთ.

ცენტურიონი. ეს ულორენციის მენერაა. ახლა ჩვენ რა?

შიქსკო. ხომ მოგწონსთ?



სიბო. მე მგონი... მაშ რაღა იტალიელები ვართ?! მაგრამ, ნეტა რა გაიძულებსთ მაგ კითხვებზედ?

ფიქსკო. მაშ, აბა მთელი ქვეყანა დაიარეთ და რაც ამ ქალური სიმშვენიერის გამომხატველი ანტრიანტებია — იმათში ისეთი მომიძებნეთ, რომელშიაც ნამდვილად იყოს შეერთებული ყოველივე სიტურფე ამ უზენაესად მშვენიერი მენერასი.

სიბო. მაშინ მივიღებთ, რაღა, ჩვენი შრომის ჯილდოს?

ფიქსკო. მაშინ თქვენ ქუჩის მჩხაენაების ოცნებაებს დაარღვევთ.

სანტუარიონი (მოუთმენლად). მერე რას მოვიგებთ?

ფიქსკო. ბუნებისა და ხელოვნების ძველებურ დაეას.

სანტუარიონი (გაცხარებით). და მაშინ?...

ფიქსკო. მაშინ? მაშინ? (იცინის). მაშინ თქვენ დაგაფიქსყლებათ, რომ ბენუას თავისუფლება დანგრევას უქადის.

გამოსვლა მეექვსე.

ფიქსკო.

სასახლესთან ალიანტოთი ძლიერდება.

საქმე კარგა მიდის! რესპუბლიკის ნამჯამ იფეთქა. სახლები და კოშკები ცეცხლმა მოიკეა. მძლიერდი, გძლიერდი! მრტლად მოედე, ცეცხლო, აქაურობას. შენც, ქარიშხალო, ძლიერად დაუბერე ამ დანგრევა-აოხრებას!



გამოსვლა მეშვიდე.

არაბი ქაქანიო. ფიქსკო.

არაბი. ხროვა ხროვას მოსდევს!

ფიქსკო. ალაყაფი გააღე. შეველა შემოაუშვი, რასაც კი ფეხები ასხია.

არაბი. რა რესპუბლიკელები არიან და! თაეიანთ თაეი-სუფლებას უღელ ქვეშ კი ეწევიან და! სწორედ არისტოკრა-ტული დიადობით დამძიმებული თაეისუფლების გაქელილ ხა-რებსაეით შის არისტოკრატული დიადობის ტეირთ ქვეშ.

ფიქსკო. სულელები ყოფილან, თუ ჰგონიათ, რომ ში-ესკო გრაფი ლაენია გა ა ნ ა გ რ ა ძ ე ლ ე ბ ს ი მ ა ს, რაც შიესკო გრაფ ლაენიას არ დაუწყვია. არეულობამ სწორედ რომ დროზედ იფეთქა. შე თ ქ მ უ ლ ო ბ ა კ ი ჩემი საქმე იქნე-ბა. შენე, კიბეზედაც შემოცვიენენ.

არაბი (გაეარდება). ავრე რომ ჰქნან, მთელს სახლსაც ააოხრებენ. (ხალხი დარბაზში შეევიეიან. ძარებს ლეჟმა-ლეჟმა ქლეწენ).

გამოსვლა მეორე.

ფიქსკო და თორმეტი ხელოსანი.

ხელოანი. მაგიერი ღორიას! მაგიერი ჯიანეტტინოსა!

ფიქსკო. წყნარა, თანამემაზულენო! მაგგვარი თქვე-ნი ჩემდამო მოდრეკილება აცხადებს თქვენში კეთილს გულს. მაგრამ ეს კია, რომ ცოტა ნაზი ყურები მაქვს....



შველანი (ფერო ხმა წაღლა). ზაეძეოთ ღორიები! ზაე-
ძეოთ ბიძაც და ძმისწულიც!

უიხსკო (დასთვლის იმით და ვალიშებით). თორმეტი კაცი! —
მთელი ჯარია, რაღა!

რომელნიმე. ზაეცალოთ ეილაც ღორიები არიან! სა-
ხელმწიფო სხვა გეარ მმართველობას ჰსაჭიროებს.

პირველი ხელოსანი. ბანა შეუძლიანთ ჩვენი მომრიგე-
ბელი მოსამართლეების კიბილამ ჩამოგდება! — მომრიგებელი
მოსამართლეებისა!..

მეორე. არა, ერთი იფაქრეთ და, ლავანია, — კიბილამ ჩა-
მოგდება და ისიც მაშინ, როდესაც იმას კენჭის დროს შეება-
სნენ ისინი!

შველანი, ამის მოთმენა შეუძლებელია! ჩვენ ამას ვერ
მოვითმენთ!

მესამე. ხრმალი შეეიტანოთ თათბირში!

პირველი. ლაშქრობის ნიშანი — ხრმალი — მშვიდობიანო-
ბის ტაძარში შეეიტანოთ.

მეორე. მერე, რა და! სენატში სხვა სენატორებსავეთ შა-
ეებ ჩაცმული კი არ მობძანდა, ძოწეულით გამოპრანქტლიყო!

პირველი. დედა-ქალაქში ოთხ-ულლად ცხენებ შებმული
რომ დაბძანდება — ის რაღაა!

შველანი. მამულის მოღალატეა!

შველანი. ის სადღაურია, რომ იშპერატორისგან ორასი
ნემეცი იყიდა მცველებად!

პირველი. უცხო ტომები მამულის-შვილების წინააღმდეგ
დააყენა! ნემეცები იტალიელების წინააღმდეგ!

შველანი. ლალატობაა! ძალადობაა! ბენუას დათრგუნვა!

პირველი. მერე... კარეტაზედ რომ რესპუბლიკის ღერები
დაუხატავს!



მეორე. ანდრიას ანდრიაანტისა სინიორიის შუა ეზოში და-
დგმა რაღაა? *მეორე. ანდრიაანტისა სინიორიის შუა ეზოში და-*

ყველა. ავეკვოთ ანდრია! ათას ნაკრად ვაქციოთ ცო-
ცხალიცა და ქეისაც.

ფიესკო. ზენუელეზო! ძალიან კარგი, მაგრამ მე რა მე-
ნაღლეება!

პირველი. თქვენ არ უნდა ითმენდეთ ამას; ჩვენ ყველა-
სათვის თქვენ უნდა იფიქროთ.

მეორე. თქვენ იმაზედ უკეთესი აზნაური ხართ. თქვენ
უნდა ასწავლოთ იმას ჭკევა. თქვენ არ უნდა ითმენდეთ ამას.

ფიესკო. თქვენი ნდობა მხიბლავს მე. შემძლიან საქ-
მით გავიმართლოთ ეგ ნდობა?

ყველანი (ღრიალით). აქაურობა სულ დაანგრე! ზეიხენ
ამ უსამართლოებისგან!

ფიესკო. მაგრამ, აცა ჯერ ერთი არაკი მომისმინეთ.
ყველანი. ბქანეთ, ლაენია!

ფიესკო (ჯდება). ზენუელეზო! ერთს დროს ცხოველთ
სამეფოში აღრეულობა ასტყდა; დასი დასზედ აღსდგა და მმარ-
თებლობის მოთავედ ყასბის ძალლი შეიქმნა. რაკი დაჩეული
იყო, რომ საქონელს ყასბის დანასთან მიპრეკდა ხოლმე, ამ
ძალლმა აქაც ძალლურად დაიწყო გამგეობა; ჰყეფდა, იკბინე-
ბოდა და ხალხის ძელებსა ჰსელეპავდა. ხალხმა, რასაკვირვე-
ლია, ღრტინეა დაიწყო; გამბედავებმა შეთქმულობა მოახდი-
ნეს და მოიღნეს კიდევ ის ძალლი. შემდეგ შეადგინეს თა-
თბირი და უნდა გადაეწყვიტათ, თუ რა რიგი მმართებლობა
უფრო ყველაზედ ბედნიერი იქნებოდა? ხვები სამ ნაწილად გა-
ყვენენ. ახლა, ზენუელეზო, თქვენ რომლებს მიუდგებოდით?
პირველი ხალხა, ხალხს, სხვა არავის.



უისსაქო. კიდევ აგრე მოხდა, ხალხმა მოიგო. მმართველობა იმათ სასარგებლოდ შეიცვალა. შეეღობა მმართველთა, საქმის გადაწყვეტა კი უმეტესობას ეკუთვნოდა. ზაფხულს თუ არა რამდენიმე კვირა, ამ ახლად შეხანხლოდ რესპუბლიკას კაცმა ომი გამოუცხადა. მთელი სამეფო შეიკრიბა. სხენი, ლომი, ფოცხვერი, დათვი, სპილო და მარტო-რქა ყველაზედ წინ წადგნენ და ძალზედ შეპლრიალეს: „იარალი ეხმაროთო!“. ახლა რიგი სხეებზედაც მიდგა. სხიარი, ირემი, კურდღელ, ვირი, მოელი მწერებისა და ფრინველების სამეფოები, მთელი რაზმი მხდალი თევზებისა, — ყველანი წამოდგნენ წინ და შეპლრიალეს: „მშვიდობიანობაო!“. აი, ჰხედაეთ, ზენუფლებო, მხდალეები მ ე ტ ნ ი იყენენ მამაკებზედ, უგუნურები კიდევ — გონიერებზედ მ ე ტ ნ ი. უ მ ე ტ ე ს ო ბ ა მ დასჯანა. სხოველთ სამეფომ დაჰყარა იარალი და კაცმაც იმითი სამფლობელოები დაიპყრა. ამგვარად, ეს მმართველობაც უფარგისი გამოდგა. ახლა, რალას ირჩევდით, ზენუფლებო!

პირველი და მეორე. ძენქას ყრას, რასაკვირველია, კენჭის ყრას!

უისსაქო. მე აზრი სწორედ ექაშნიკათ. მმართველობა რამდენიმე სასამართლოდ განაწილდა. მ გ ლ ე ბ ი ხაზინის საქმეს მმართველობდნენ; მ ე ლ ე ბ ი იმათი მდივნები იყენენ; მ ტ რ ე დ ე ბ ი მსაჯულობდნენ სასისხლო სამსჯავროში, ხოლო ფოცხვერები კი — სასტინიდისო სამსჯავროში; თ ხ ე ბ ი ქორწინების დავასა სწყვეტდნენ; სალდათებად კ უ რ დ ლ ლ ე ბ ი იყენენ, ლ ო მ ე ბ ი და ს პ ი ლ ო ე ბ ი კი უდელ ქვეშ მოატანეს ვირი მინდობილი ელჩი შეიქმნა, ხოლო თ რ ი თ ი ნ ა გახდა ყველა თანამდებობის თავი-ზედამხედველი გახდა. ზენუფლებო, აბა რა გამოდნებოდა ამგვარი ბრძნული დაწყობილებისაგან!

შინაც მგელი ვერ შესჭამდა, იმას ქვებუღანი მელა სტრაციდა და ვინც მელას დაეღწეოდა როგორმე, ის ვირის წინაშე მანც ვერ წაუვიდოდა. შოცხერები ავიწროებდნენ უმანკობას; ქურდებსა და მკვლელებს იწყალებდნენ მტრედები; და, ამ ბედნიერების დასაგვირგვინებლად, როცა ეს მოხელენი თავიანთ თანამდებობას აბარებდნენ ხოლმე, თრითინა მუდამ კმაყოფილი რჩებოდა რომ რიგიანად აუსრულებიათო. მხეცები ხელაბლად აღელდნენ. „ამდენის მაგიერად ერთი აეარჩიოთო“ შეჰყვირეს ერთხმად, — ისეთი კი იყო, რომ პრჭყალები ჰქონდესო, თავიო და ერთი კუჭო. და ამგვარად ყველანი ერთ მბძანებელს დაემორჩილნენ, ერთს ამეთქო, ზენუელეზო, მაგრამ ეს ერთი (ადგება, მიაზლოვდება იმათ და მუდიღურად) — ლომი იყო.

შველანი (ტაშს უყვრენ და ქუდებს მალა ისჯიან). ხერხიანად მოქცეულან! ბარაკლა იმათ!

პირველი. ზენუაც იმათ მაგალითს უნდა მიჰყვეს; და კაცია ჰყავს შეგულბული.

შიმსკო. მე ნუ მეტყვიოთ იმის სახელს — არ მინდა. წადით შინ — და გახსოვდეთ ლომი. (მოკლაცქენი უვირლით გადიან.) სწორედ ლაზათიანად მიდის საქმე. ხალხი და სენატი ღორიების წინააღმდეგია და ორივე შიესკოსაკენ არიან. ჰასან! ჰასან! მს სიძულელიო უნდა გავაძლიერო; და თანაგრძნობაც უფრო გავაცხოვლო. ბიჭო, ჰასან! შე ჯოჯოხეთის გავარდნილო! ჰასან! ჰასან!

გამოსვლა მეცხრე.

არაბი შემოდის. შიმსკო.

არაბი (გაჯავრებული). ჩემ ფეხის გულებს ჯერ ისევ ცე-



ცბლსაფით ვარვარი გააქვსთ! რაო, რაღა მოგინდათ კიდევ?

ფიქსკო. ია მინდა, რასაც გიბძანებ.

არაბი (პირმოთხოვით). აბა, ჯერ საით მიბძანებთ გაეიქცე და მერე—საით?

ფიქსკო. ამ ჟამად სირბილისგან გამინთავისუფლებიხარ. ეს კია ცოტა იქნება მოგთელონ. აბა, ძალა-ღონე მოიკრიბე. მხლა მე გავამჟღავნებ შენს ბოროტო-განზრახვას და შეეჩურულს გადაგცემ მართლ-მიაჯულების ხელში.

არაბი (ქვეა ნაბიჯზედ უკან დაიწევს). ბრაფო, ეგ ხომ პირობის გატეხაა.

ფიქსკო. შიქრი ნუ გაქვს. სხვა ნურა გგონიარა—კომედია მანდა მოვხდინო. ამ ჟამად ყველა იმაზედ არის დამოკიდებული, რომ ჯიანეტტინოსაგან ჩემი მოკვლის განზრახვა ყველას გაუმჟღავნო. შენ ძალიან დაგიწყებენ გამოკითხვას.

არაბი. ბამომკითხვენ და მეც ან გამოვტყდები ან არა?

ფიქსკო. ჯერ ნუ გამოსტყდები. მაშინ შენ გაწამებენ. წამების პირველ ხარისხს აიტან. ეს არაფერი: ეს უსიამოვნობა იმის ფასად ჩავთვლებ, რომ ჩემს მოკვლას აპირებდი. მერე არე წამებაზედ კი გამოსტყდი.

არაბი (ფიქსკო თავის ქვეით). ეშვაკი მაცდურია. შაი თუ ბატონებმა ხუმრობისათვის ჩემი ურმის თვალზედ დაგლევჯა მოისურვონ.

ფიქსკო. აგრე მთელად დარჩები, როგორცა ხარ.—ბარწმუნებ ჩემი გრაფული სიტყვით. მითომ ჩემი დაკმაყოფილებისათვის მოვითხოვე, რომ შენი დაჯა თითონ მე მომანდონ, და მაშინ, მთელი რესპუბლიკის თვალ წინ, გაპატრებ.



არაბი. მეტი რა გზაა, თანახმა ვარ. ასოებს გმარწოცხლნი
ბენ,—ამით იქნება ხერხიანობა მომემატოს. შიზლირთქა

ფიესკო. მაშ აბა ჩქარა ამოიღე ხანჯალი და ოდნავ გა-
მიფხაჭვე ხელი, რომ სისხლი გამოჩნდეს. მეც მტაცებ ხელს,
მითომ ეს არის ავაზაკობაზედ მოგასწარ. ქმარა. (შეირის). ღაი-
ჭირეთ! მიშველეთ! ავაზაკი! მკვლელი! ღაიჭირეთ! ძარები ჩა-
კეტეთ! (საუფლოთი მიათრევა არაბს ოთახიდან. მსახურები გარბიან სცე
ნახედ).

გამოსვლა მეათე.

ლემნორა და რუზა შემოაბიან შეშინებულნი.

ლემნორა. მკვლელიო!—ხმა შემომესმა. აქ რაღაც ხმა-
ურობა იყო მკვლელს იძახდნენ.

რუზა. შთუოდ რამე უბრალო აღიანქოთი იქნებოდა, რო-
გორც მუდამ არის ხალხმე ამ ბენუაში.

ლემნორა. აქ მკვლელს ყვიროდნენ, ხალხში კი მკა-
ფიოდ გაისმა ფიესკოს სახელი უსულო მატყუარები! მითომ
ჩემი თვალები დაინანეს, მაგრამ ჩემი გულის მოტყუება რომ
ვერ შეუძლიანთ. მამოუდექ, ჩქარა, შეიტყე და გამაგებინე
საით წაათრიეს?

რუზა. ღამშვიდდით. ბელლა კიდევ გამოუდგა იმათ.

ლემნორა. მაშ იქნება ბელლამ კიდევ ნახოს იმის გა-
ხელილი თვალები! ნეტა ბელლას! შაი მე, რომ იმის მკვლე-
ლი შევიქენ! ფიესკოს რომ ჩემი სიყვარული შესძლებოდა,
თავის დღეშიაც არ ვცემოდა ცხოვრების ქარიშხალს და
ბტრობის ხანჯალს ზედ აღარ აეგებოდა. აი, ბელლაც მოვიდა!
ზამეცალე! ნურას მეტყევი, ბელლა!

გამოსვლა მეთერთმეტე.

უწინდელები და ბელლა.

ბელლა. ზრადი საღი და უენებელია. მე თითონ ენახე, ქუჩებზედ ცხენით რომ მიაქროლებდა. თავის დღეში არ მი-
ნახაე? გრადი ისეთი მშვენიერი. ცხენი კობტა სურათსა ჰგენ-
და და ამაყი ნაბიჯით თითქოს ჰრეკაედა შეჯგუფებულს ხალ-
ხს თავის ოსანისაგანაო, ზვერდით რომ გამირბინა, შემნიშნა, გა-
მილიმა, აქეთკენ მანიშნა და სამი კოცნა გამომიგზავნა. (მერ-
გობიო.) ახლა არ ვიცი რა უყო იმ კოცნებს, სინიორა.

ლემონრა (ალტაცებით). შე საძაგელო ყბედო! წადი და
ისევ უკან დაუბრუნე.

როზა. აი, ჰხედეთ!—ვარდები ხელ-ახლად გაიშაღნენ
თქვენს ლოყებზედ.

ლემონრა. ვაი ჩემი ბრალი! თავის გული როსკიპს
გადუგდო, მე კი ერთს შემოხედვასაც უნდა ვემუღარებოდე!
ოჰ, დედაკაცებო, დედაკაცებო! (მავლენ).

გამოსვლა მეორემეტე.

ანდრეას სასახლეში.

ჯიანაბტინო და **ლოველინო** საჩქაროდ შემოვლენ.

ჯიანაბტინო. თავისუფლებოა!.. იმდენი იღრიალონ, მი-
ნამ მოეწყინოსთ! დაე სულ ისე იბრდღეინონ მაგ თავისუფ-
ლებზედ, როგორც ლომი ბრდღეინაეს ხოლმე თავის ლეკვ-
ბზედ. მე შაინც არ დაუთმობ.—

ლომელლინო. მაგრამ, თქვენო უგანათლებულებო...
ჯიანბატინო. წადი ჯანაბას შენცა და შენი მასწავ-

რა ცა, სამი საათის პროკურატორო! მით ბეწვასაც არ დაუ-
 თმობ მეთქი. ღაც ბენუის კოშკებში იქნონ თავები და აღქა-
 ფებულმა ზღვიამაც იგრიალოს: „არაო. — ჩემთვის სულ ერთია.
 მე ამ ტეტებშია სულაც არ მეშინიან.“

ლომელლინო. ზღვიანობა — ანთებულ ქაჯონს მიემსგაფ-
 სება, მართალია; მაგრამ საქმე ის არის, რომ აზნაურობა თა-
 ვის ქარს უქროლებს მას. მთელი რესპუბლიკა აღელვებუ-
 ლია: მდაბიონიცა და პატრიციებიც.

ჯიანბატინო. სიცრუევა, სიცრუევი! მე მხოლოდ ერთი
 საშიში კაცი მეგულებოდა; იმაზედაც ყოველივე მოთქრებუ-
 მაქვს.

ლომელლინო. მათი უგანათლებულებობა მობძანდება!
 (ანდრია შემოდის, მარჯვნივ დაბლა თავს უყვრენ).

ანდრია. სინიორ ლომელლინო, ჩემს ძმისწულს წაახლო-
 შსურს სადღაც.

ლომელლინო. მას მათი ხლების პატივი მექნება. (მიდის).

გამოსვლა მეცამეტე.

ანდრია და ჯიანბატინო.

ანდრია. ჩემო ძმისწულო! — მე შენ გემდური!

ჯიანბატინო. მომისმინეთ, უგანათლებულებო ბიძაჩემო!

ანდრია. შეკანასკნელ ბენუის გლაზას მოუსმენ, თუ კი
 ღირსი იქნება; უყვითურს კი არაოდეს, თუნდ ჩემი ძმისწუ-
 ლიც იყოს. ჩემის მზრივ ესეც დიდი წყალობაა, რომ ბიძასა-



ვით გელაპარაკები: შენ იმის ღირსი ხარ, რომ გერცოგსა და მის სინოროიას უსმენდე.

ჯიანებტინო. მხოლოდ ერთი სიტყვა მათკმეინეთ, უგანათლებულესო გერცოგო!

ანდრია. ჯერ მე მომისმინე—გითხრა, რაც მოახდინე და მერე მიპასუხე. შენ ის შენობა დაანგრე, რომელსაც მე ცოტ-ცოტად ვაშენებდი, თითქმის მთელ ნახევარ საუკუნეს, დიად, შენ დასთარგუნე ბიძიშენის ერთად-ერთი ძეგლი—შენუელე-ბის სიყვარული. ეს განუხჯელობა უპატიებია შენსთვის ან-დრიას.

ჯიანებტინო. ჩემო ბიძაე და გერცოგო!...

ანდრია. სიტყვას ნუ მაწყევტინებ. შენ დაარღვიე უმშვე-ნიერესი მმართველობის მოწყობილობა, რომელიც მე ჩემი ზენუელებისთვის ზეციდგან მოვიბოვე, რომელიც მე მრავალ უძილო ღამედ დამიჯდა, მრავალ შიშად და სისხლად. მთელი ზენუის წინაშე შებილწე ჩემი გერცოგული პატივი, ამიტომ რომ ჩემი დაწესებულებები უპატიურ-ჰყავ. აბა ერთი, მით-ხარ, ვინ დაიცავს იმ დაწესებულებებს, თუ კი ჩემი საკუთარი სისხლი იძულებს იმათ! ეს უგუნურება უპატიებია შენ-თვის ბიძას.

ჯიანებტინო (წყნარად). მუუფო! თქვენ თითონ არ მიქა-დლით ზენუის გერცოგობას?

ანდრია. დაჩუმიდი!—შენ მამულის მოღალატე ხარ; შენ შიგ გულში დაჰკოდე სახელმწიფო. ეს კარგად შეჰნიშნე, ჯი-ანებტინო! ამას—მოჩივლება ჰქეიან. აქაო და ღღისით შრო-მისგან დაღალული მწყემსი საღამოზიდ დასასვენებლად წამო-წვაო, შენს გამოხატულებას ფარა უპატრონო ეჩვენა. აქაო და ანდრიას თმა თოვლისავეით გაუთეთრდაო, შენ მსწრაფლს-ვე ქუჩის ბიჭსავეით კანონების გაქლევა განიზრახე.

ჯიანბატინო (ხეობი). წყნარა, გერცოგო! ჩემს ძარღვეთ
ბშიაც იმ ანდრიას სისხლი სდულს, რომლის წინაშეც საფრან-
გეთი თრთოდა.

ანდრია. დაღმდი მეთქი!—მე შენ გიბძანებ. მე ისე ვარ
დაჩვეული, რომ, როცა ვლაპარაკობ, აღქაფებული ზღვაც და-
ღმდება ხოლმე. შენ შეგინებულ-ჰყავ მეფური მართლმსაჯუ-
ლება თვით მისსავე ტაძარში. იცი როგორა სჯიან, შე მოლა-
ლატვე, ამ გვარ დამნაშავეს? აბა, მიპასუხე!

ჯიანბატინო (ღვას დაღმებული და თვლები მიწაზედ დაუ-
ბჯენია).

ანდრია. უბედურო ანდრიაე! შენს საკუთარს გულშივე
აღზარდე ჰია. მე ეუშენებდი ბენუელებს შენობას იმ ტკიბი-
ლის დარწმუნებით, რომ ის შენობა ყველა დროთ ბრუნვას
გაუძლებდა, და აი ახლა მე თითონვე შემაქვს იმ შენობაში
პირველი ცეცხლი (ჯიანბატინოზედ უჩვენებს),—აი ეს... უგუ-
ნურო! მადლობა უთხარ ამ ქალარა თავს, რომ ნათესაის ხე-
ლით ჰსურს დასაფლავება; მადლობა შესწირე ჩემს უღმერთო
სიყვარულს, რომ ახლავ ეშფოტიდგან არ გადმოუგდებ შეუ-
რაცხყოფილს სახელმწიფოს მის ამღელვებელის თავსა. (საჩქა-
როდ გავა).

გამოსვლა პეტოთხეტე.

ლოველინო, შეშინებული, ქაქანიო შემოირბენს. **ჯიანბატინო**
აეგულად და დაღმებული შესცქერის მიმავალ გერცოგს.

ლოველინო. ღმერთო ჩემო! რა ენახე? რა გავიგო-
ნე? ახლა კი... ახლა... თავს უშველეთ, პრინცო!—ყოველი
ვე დაკარგულია!



ჯიანებტინო (ვაშაგებით). რაო, რა არის ედაკრებული? რას ამბობ? ნიკოლოზი

ლომელლინო. გენუა, პრინცო. ეს არის მოედნიდგან მოედნიეარ. ხალხი ეილაკ არაბს შემოპხვეოდა: შებოქილს მი-ათრეედნენ. ბრაფი ლაკანია და მასთან სამასზედ მეტი სეფენი იმ სამსჯაფროსაკენ მიდიოდნენ, ჯაჯით რომ სცდნიან დამნაშავეს. იმ არაბს თურმე შეესკოს მოკელა დაეპირებინა და ზედ იმ დროს მოესწროთ და დაეკირათ.

ჯიანებტინო (ფეხს დატყაუნებს). დასწყევლოს ლმერთმა! დღეს ყველა ეშმაკები ჩემზედ ამდგარან!

ლომელლინო. გამოკითხეა დაუწყეს ეინ შიგვზაენაო, ეინ გაგაბრიყვაო? არაბი არ გამოსტყდა. პირველი ჯაჯა მიაყენეს. არც მაშინ გამოსტყდა. მეორე ჯაჯა კი ეილარ აიტანა და მაშინ კი სულ მთლად გამოსტყდა ყველაფერში. მიკვირს, თქვენო უგანათლებულესებაე, რამ გაფიქრებინათ, რომ იმისთანა უმაქნისა შიანდეთ თქვენი პატიოსნება?

ჯიანებტინო (გაბრაზებული). ნურას მკითხაე!

ლომელლინო. მოისმინეთ ახლა რა იყო. წარმოსთქვა თუ არა ღორიო—ნეტა ჩემი სახელი ეშმაკების დაეთარში ამომგკითხა და თქვენი სახელი კი არ გამეგონა იქ,—მსწრაფლ შეესკო გამოეცხადა ხალხს. ხომ იცნობთ იმ კაცს, ბძანებით რომ ემუდარება, იმას, იმ ხალხის გულის ეაქარს. მთელი ყრილობა, თეზარ-დაცემული, სულ-განაბული მოუსმენდა იმას. სოტა ხანს ილაპარაკა, მაგრამ გაიშვირა თუ არა სისხლიანი ხელი, ხალხმა მსწრაფლ ისე ნაირად დაიწყო ბრძოლა იმის სისხლის წვეთებისთვის, თითქოს რამე წმინდანისთვის იბრძვისო. არაბი მისცეს შეესკოს (რა მეზია და ეს ჩვენთვის)!—და შეესკომაკ აპატიეა. ამ დროს დადუმებულმა ხალხმა შექნა



ლიალი; ყოველი სული შეჩვენებას უთვლიდა დორიასს. მისი
ესკო კი სულ ხელით წაიყვანეს შინ და გზა-გზა ერთმანეთს
უმარჯოსს დასძახოდნენ.

ჯიანბატინო (ერთ სიცილით). დაე აჯანყდნენ! მათ და-
ვიძახებ იმპერატორი ძარლოსი მეთქი—და ამ ერთი სიტყვით
ისე დაეამშვიდებ იმათ, რომ მთელ ბენუაში ერთმა ზარმაც
ალარ დაიღულუნოს.

ლომელინო. იტალიიდან ბოლემიამდის შორს არის.
ძარლოსი კიდევ რომ გამოეშუროს—თქვენს ალას ძლიეს-
და მოუსწრობს.

ჯიანბატინო (ამოიღებს დიდ ბეჭედში დამხულ წერილს). ში-
ქი ნუ გაქვს, აი აქ არის ძარლოსი. ბიკიჩის, ლომელინო? ბა-
ნა ისე სულოელი მიგულე, რომ ისე ცუდ უბრალოდ გაეახე-
ლებდი იმ ბნელიან რესპუბლიკელებს თუ კი გაცემულნი და
გაყიდულნიც არა მყოლოდნენ ისინი?

ლომელინო. არ ვიცი, რა მოგახსენო?

ჯიანბატინო. მე კი ვიცი, რომ შენ ზოგიერთი რამე
არ იცი, რასაც მე ვფიქრობ. საქმის ბოლო დამზადებული მა-
ქვს. ხეალ-ზევით თორმეტი სენატორი შეიმუშრება. დორია
ხელმწიფედ დაჯდება, და იმპერატორი ძარლოსი—მოსარჩლედ
გქმნება იმას. ნუ თუ შენ უკუსდგები?

ლომელინო. თორმეტი სენატორი! ჩემი გული ისე
ცრელი არ არის, რომ მიჰხედეს თორმეტჯერ სისხლიერო
ბოროტმოქმედებას.

ჯიანბატინო. შე საბრალო! სამეფო ტახტისთვის—ეს
რომადაც არა ღირს. ახლა გამოგონე რა გითხრა: ძარლოსის
ინისტრუმბა და ჩვენ ერთად გადაეწყვიტეთ, რომ საფრანგეთს
კიდევ ძლიერი მომხრეები ჰყავს ბენუაში, და რომ ამ



მომხრეებმა კეილად ხელში არ ჩაუგდონ იმას, რესპუბლიკა — სულ ძირიანად უნდა ამოეთხერათ ისინი. ამ მოსაზრებამ ისე დალიან გააგულისა მოხუცებული ძარლოსი, რომ მსწრაფლ ხელი მოაწერა ჩემს წინადადებაზედ! ახლა უნ დაჯექ და დაწერე რასაც გიკანანახებ.

ლომელლინო. მე რომ ჯერ არ ვიცი...

ჯიანებტინო. დაჯექ, დაწერე მეთქი!

ლომელლინო. მერე რა დაწერო? (ზღვბა).

ჯიანებტინო. იმ თორმეტი კანდიდატის სახელი. შრან-ცისკო სენტურიონე.

ლომელლინო (სწერს). რადგან კარგი ხმის პატრონია იმის სამადლობელოდ წინ-მძღოლის ადგილი დაიჭიროს სასაფლაოსაკენ სელაში.

ჯიანებტ. პორნელიო ძალეა.

ლომელ. ძალეა.

ჯიანებტ. მიხეილ სიბო.

ლომელლინო. ეს გააგრილებს იმას პროკურატორობის მამიებლობაზედ.

ჯიანებტ. თომას ასსერატო, სამი ძმით.

ლომელლინო (შეღვბა).

ჯიანებტ. (კელოიანად). სამი ძმით, მეთქი.

ლომელლინო (სწერს). მერე?

ჯიანებტ. შიესკო, მრათი ლეანია.

ლომელლი. შათხილდით, ჰაა, გათხილდით მეთქი. თორემ ამ შ ა ე ქ ე ა ზ ე დ კისერს მოიტეხთ.

ჯიანებტ. სციპიონ ბურგონიინო.

ლომელლინო. დაე სხვაგან სადმე გადიხადოს ქორწილი.

ჯიანებტ. იქა რაღა, სადაც შე იმის ცოლის მაყარი ვიქნები. რაფიელ საკო.



ლომელ. ამის პატიებას კი ვთხოვდით, ვიდრე ჩემი ხუთიათასი სკული არ გადაუხდია. (სწერს). მაგრამ სიკვდილი გაგვაქეითებს,

ჯიანებტ. მინცენტ ქალკანიო.

ლომელ. ქალკანიო. მეთორმეტს მე თითონ დავეწერ, თორემ ვაი თუ ჩვენი უბოროტესი მტერი დაგაეწყდეს.

ჯიანებტ. ქარგი ბოლო საქმის გვირგვინიაო. იოხებ მე-ჩრინა.

ლომელ. აბა ესა, ჰოო! გველეშაპის—თაფი (ადგება, ქიშას დააურის, ხელდახელ გადაათვალიერებს და მიართმევს პრინცს). ხელოვნებით სიკვდილი ბრწყინვალე მეჯლიშს ჰმართავს და ამ მეჯლიშზედ ბენუის თორმეტს სეფესა ჰპატივობს.

ჯიანებტ. (სტოლთან მივა და ხელს აწერს). აღსრულდა! ორდღეს შემდეგ—დოჯის არჩევა. სინიორია რომ შეიკრიბება, ნიშნი მიეცემა ხელცახოცით და ეს თორმეტნი ერთიანი თოფის სროლით დაეცემიან; ორასი ნემეცი სასამართლოს დაიჭვრს. ეს ყოველივე რომ შესრულდება, ჯიანეტტინო დორია შევა სანიორიაში და ყველას ძალით დააფიცებინებს. (პრეკავს).

ლომელ. ანდრია ლაქ...

ჯიანებტ. (შეურაცხებით). დაბერდა. (შემოდის მსახური). ბეროცოგმა თუ მიკითხოს, უთხარით წრივაზედ წავიდა თქო. (მსახური გადის). მე რომ ეშმაკი მიზის, იმას მხოლოდ ლეთის-მსახურების ფარდის ქვეშ შეუძლიან დამალვა.

ლომელ. ძალადი, პრინცო?...
 ...

ჯიანებტ. შენა გკონდეს და ყველა ჩვენს მომხრეს აჩვენე. მს წიგნი ეხლავ ლეანტში უნდა გაიგზავნოს. ამით ყოველი ფერს ვატყობინებ სპინოლას და ბრძანებას ვაძლევ, რომ ვალ დილის რვა საათზედ აქ ქალაქში დაიბადოს. (წასვლას აპირებს).



ინებ ლომელლინო. ძარგი ქვევრია, მაგრამ ეს ერთ ალაგას
გასლის, პრინცო. შეესკო სენატში რომ არ დაიბრუნებოდა.

ჯიანეტიტინო. ერთი აღრეულება მაინც კიდევ მოხდება.
მე ვეცდები, რომ მოხდეს. (შეერდის ოთახში შედის; ლომელლინი
სხვა ოთახში მიმალება).

გამოსვლა პეტსუთქეტე.

სტუმრის მისაღები ოთახი შეესკოს სახლში.

შინსკო სჯირავს წერილი და თამაშუქები. არაბი.

შინსკო. მაშ აგრე, ოთხი ნაეი მოვიდა?

არაბი. დიალ... დარსენში დგანან ლუზაზედ.

შინსკო. ძარგი და პატიოსანი. შათირები საიდან-ლა არიანი

არაბი. რომიღგან, პიაჩენციღგან და საფრანგეთიღგან.

შინსკო (გასხნის წერილს და ხელდახელ გადაათვალიერებს). ჩვენ-
კენ მობძანდით, ჩვენ კენ, ბენუაში! (მზიარელად). ძარგად გაუ-
მასპინძლდით შათირებს—თ ა ვ ა დ უ რ ა დ.

არაბი. ჰე! (წასვლას აპირებს).

შინსკო. აცა, მოიცა! შენთვის ჯერ ბევრი საქმე მაქვს.

არაბი. რას ინებებთ?—მეძებრის ცხვირსა, თუ მორიფ-
ლის ისარსა?

შინსკო. არა, ამ ხანად შენი ენის მეტი არა მინდარა, ხელ-
დილით ორა ათასი ტანისამოს-გამოცელილი სალდათი შემო-
ვა ქალაქში ჩემ სამსახურში შემოსასვლელად. ახლა შენ უნ-
და შენი გძელ-ხელიანები დააყენო ყველა შემოსავალზედ და
უბძანო, რომ ყველა შემოსავლელს ბეჯითი თვალ-ყური ადუ-



ენონ. ზოგნი ლორეტის მლოცაეებად იქნებიან მოკმაზულნი, ზოგნი ბერებად, ან მესტიერებად და მესაკრაეებად, ზოგნი მგ უაზნობად, ან კომედიატების დასტად; მომეტებული ნაწილი კი სამსახურიდგან გადამდგარ სალდათებად იქნებიან ჩაცმულნი, ბენუაში საზრდოს საშოვენლოად რომ მოეხეტებიან ხოლმე. შეელას ჰკითხონ: ეის შეეფარებიტქო? მუ უპასუხეს: ო კ რ ო ს გველსაო — მეგობრულად დაუკრან თავი და ჩემი სასახლე მოასწავლონ. აბა! ძმობილო, ყურმახეილად იყავ! მაგრამ შენს გულის-ხმიერებას ეენდობი.

არაბი. როგორც — ჩემს ზოროტებს, ისე განა, გრაფო? ერთი თმა რა არის, — ისიც თუ გამოიმეპაროს, მაშინ ერთი წყვილი თვალით გატენეთ თოფი და ჩიტებს ესროლეთ. (წასვლას აპირებს)

ფიქსო. მოიცა! ერთი შემოკვეთაცა მაქვს. მე ვიცი, ნაეები თვალეში გაეჩხირება ხალხს. აბა თვალ-ყური ადევნე, ამაზედ რალას ილაპარაკებენ. მუ გამოკითხვა დაგიწყონ, — უპასუხე, რომ აქეთ-იქიდგან გაეიგეთქო, ვითომც ჩემი ბატონი ოსმალეებზედ განადირებას ემზადებოდესტქო. ხომ გესმის?

არაბი. მესმის, როგორ არ მესმის. წინ-დაცვეთილებს, წვერები, მართალია, გარეთ გამოჰშეფრიათ, მაგრამ მით ქვეშ რა არის — ეშმაკის მტემა არაეინ იცის. (წასვლას აპირებს).

ფიქსო. მოიცა! მართი გაუთხილებაცა გეპართებს. ჰიანეტტინოს ახალი მიზეზი აქვს ჩემი ხიძულეილისა; და უეკველია, ახლა უფრო ეცდება ჩემთვის მახის დაგებას. წადი და შენს ამხანაგებს უთვალთვალე. ხომ ხელახლად ჩემი მოკვლას განზრახვა არ ჩაუღლიათ. ღორია ხაეკერო სახლებში დაიარება. მაიცან სიზარულდრს ასულეობი. ქაბინეტის საიდუმლოეობი დიდის ხალისით იმალეებიან ქალების კაბის ნაკეცებში. ოქროს გაცნო-



ბას დაჰპირდი იმათ, შენი ბატონის გაცნობასა, ისე აღ-
მატებული არა არის რა ამ ქვეყანაზედ, რომ ამ გულზედ მისი საქმე-
დის არ შეგეძლოს იმის ჩაყურყუმელობა, ვიდრე ნამდვილ
ძირამდის მიაღწევდე.

არაბი. აკათ! აკათ! მართ გამოჩენილ დიანა ბონონის-
თანა ვარ მიღებული; ერთ წელიწადზედ მეტი ვიყავ იმასთან
მსახურად. მუშინ წინ ვნახე, რომ პროკურატორი ლომელლი-
ნო იმის სახლიდგან გამოდიოდა.

ფიქსკო. მე ძალიან კარგი! აბა სწორედ ლომელლინო
არის ღორიას ყველა სისულელის უმთერესი გასაღები. შთუ-
ოდ ხელ დილითვე უნდა მიხედო იმასთან. იქნება ამაღამვე
გაუხდეს ის მნდომიანად იმ უმანკო დიანას.

არაბი. მართი გარემოება კიდევ, ბრწყინვალეო გრა-
ფო! შენუელეებმა რომ მკითხონ (სწორედ მკითხავენ კიდევ) —
შეესკო რასა ჰფიქრობსო შენუაზედ? — ჯერ არ მოისხნით თქ-
ვენს მასკას? — თუ რა უპასუხო?

ფიქსკო. რა უპასუხო? მოიცადე. ნაყოფი მწიფდება. მუ-
ცლის ტკივილი მშობიარობას გვიქადის. შენუას სასაკედინო
ძელზედ უღვეს თქო თავი, უპასუხე, და ჩემს ბატონს იოანე
ლუღვიგ შეესკო ჰქვიან თქო.

არაბი (მთიარულად იზიარება). ასე გავჩარხო საქმე, უმა-
ქნისის პატროსნებას ვფიცავ! რომ... აბა გაიჩარჩე, მეგობარო
ჰასან! ზასწი ჯერ მარანისკენ. ჩემ ფეხებს ხელები საქმით საე-
სე აქვს, ასე რომ ცოტა კუჭი უნდა ვანებიერო, ეგების ჩემ
ფეხებს კეთილი სიტყვა გაუტაროს. (სანქროდ ვადის, მაგრამ მა-
შინვე დბრუნდება). A propos! კინალამ არ დამავიწყდა! თქვენ
გნებადღათ შეგეტყვოთ, თუ თქვენს ცოლსა და ძალკანიოს შორის
რა მოხდა? — სხვირი გაუგაღეს საბრალო ძალკანიოსა, გრაფო, —
სხვა არაფერი მომხდარა. (ზარბის).



გამოსვლა მეთექვსმეტე.

ფიესკო მარტო.

საკოდრო ძალკანო! ნუ თუ თქვენ გეგონათ, რომ ჩემი ქორწინების სარეცელი შემთხვევის ამარად გამეშვა და ამ მხრივ ზრუნვა თავიდგან მოცლილი არა მქონდა დაიმედებულს ჩემი ცოლის სათნოებაზე და საკუთარ ჩემს ღირსებაზე და ცა? შენ კარგი სალდათი ხარ. მსგავსობა შენს ხელს მძენს მე ღორიას დასალუბავად. (ღიღი ნაბიჯით დღის წინ და უკან). აბა, ღორიავ, ახლა კი გამობძანდი ჩემთან ბრძოლაში! ღიღი საქმის მათეულეები სულ მომართულნი არიან. შევლა საკრავები გაწყობილია საშინელი კონცერტისათვის. სულ მზად არის, მხოლოდ ახლა უნდა მოიხსნას მასკა და ბენუას პატრიოტებს დაენახვოს — ფიესკო. (უხის ხმა ისმის). სტუმრები? ამ დროს ნეტა ვან უნდა იყოს?

გამოსვლა მეჩვიდმეტე.

უფინდელავი, ვერინა. რომანო, სურათით. საკო, ბურბონინო. კალკანიო. შევლანი თავს დაუყვრენ.

ფიესკო (შვიარულად შეხვედბა იმით). მამარჯობა თქვენი, ჩემო ღირსეულო მეგობარნო! ნეტა რა სამძიმო საქმემ მოგიყვანათ ჩემთან? შენც აქა ხარ, ჩემო ძვირფასო ძმარ. ვერინა? შენს ცნობას მალე გადავეჩვევოდი, რომ ჩემი აზრები უფრო ხშირად არა ყოფილიყვენ შენთან, ვიდრე ჩემი თვა-



ლები შეგხედებიან ხალმე. თითქმის უკანასკნელს მგჯელის
 აქეთ აღარ მინახავს ჩემი შერჩინა.

შერჩინა. შერჩინას ნუ აყვედრი, შეესკო. მას აქეთმძი-
 მე ტვირთი დააწვა მის ქალარა თავს. მაგრამ ამაზედ კმარა.

შინასკო. როგორ თუ კმარა? ჩემი სიყვარულისათვის სა-
 კმარა არა გამოგითქვამს რა, მაგრამ ცალკე მომეტებულს მე-
 ტყვი. (მურჯონიანს) მამარჯობა თქვენი, ჭაბუკო გმირო! ჩენნი
 ცნობა ჩემგან ჯერ ისეე მწვანეა, მაგრამ ჩემი შეგობრობა კი უკვე
 დაშლილებულია. აბა, ჩემს შესახებ აზრი ხომ შეიცვალეთ!

ბურბონიანო. თითქმის.

შინასკო. შერჩინა, მე მომესმა, ვითომც ეს ყმაწვილი
 კაცი ქმრად უხდება შენს ასულს. არჩევანი მომილოცავს. მე
 ამასთან ერთხლის მეტად არ მილაპარაკნია, მაგრამ დიდ პატი-
 ვად მივიჩნევი ამის განათესალებას.

შერჩინა. მე თქვენი აზრი დილ მახარებს.

შინასკო (სხვებს მიუბრუნდება). საკკო? ქალკანია? ჩემი სა-
 ხლისთვის დილ იშვიათო სტუმრებო. მე მგონია ჩემი სტუ-
 მრის მოყვარეობა ჩქარა გამასასაცილოებს მე, თუ ასე გან-
 გან გამიდგებიან ბენუას უკეთილშობილესი სამკაულნი. მე-
 სალამები ჩემს მეხუთე სტუმარსაც, თუმცა უცნობა, მაინც
 ჩემთვის ძვირფასს ამისთანა ღირსეულ პიროვნებაებთან ერთო-
 ბისაგამო.

რომანო. ეს უცნობი, გრაფო, გახლავსთ უბრალო მხა-
 ტვარი. სახელად რომანო ჰქვია, ბუნების გაცარცვით საზრ-
 დოობს, სხვა გერბი არა აქვსრა, თავის კალმის გარდა, და ახ-
 ლა იმისათვის არის აქ მოსული (დაბლა თავის დაკვრით)—რომ
 ბრუტის თავის დასახატავად კეთილშობილი ნაკეთი მოიპო-
 ეოს.



ფიქსიკო. მიზოდეთ ხელი, რომანო! თქვენი ღმერთი, ჩემი
 მი სახლის თვისია, და ძმურის სიყვარულითაც მიყვარს ჩემი ხელი
 ლოცნება--ბუნების მარჯვენა ხელია. ბუნებამ მხოლოდ ქმ-
 ნულ ებანი დაჰბადა, ხელოვნებამ კი—კაცი. მაგრამ, რას
 უფრო ჰხატაეთ, რომანო?

რომანო. გამჭრიახი ძველი-დროის სურათებს. შლო-
 რენციში არის ჩემი მომაკვდავი ჰერკულესი, ჩემი
 ძლევატრა—ვენეციაშია, განზენებული აიაკსი—
 რომშია, სადაც ძველი დროის გმირები ხელახლად ცოცხლდებ-
 ბიან მატრიკანში.

ფიქსიკო. ესა რაღას მუშაობს თქვენი კალამი?

რომანო. მივატოვე, გრაფო! ბენიოსის სინათ-
 ლეს უფრო ცოტა ზეთი უნდება, ეილრე ცხოვრების
 სინათლესა. თუ ერთი თვის წრეს დასცდა კაცი, ის არის
 მაშინვე ქალაქის გვირგვინით დაგვირგვინებენ. აი ეს
 არის ჩემი უკანასკნელი სამუშაო.

ფიქსიკო (მხიარულად). სწორედ რომ დროზედ მოსელა ამა-
 სა ჰქვია. ღღეს მე მეტის მეტად მხიარულათა ვარ; მთელი
 ჩემი არსება რაღაც გმირული განსვენებით არის დანთქული
 და სრულებით მზაა საოცარ ბუნებას მიეცეს. დასვენეთ თქ-
 ვენი სურათი. მე მაგით მინდა დღესასწაული გაეიმართოს. აბა
 წრედ დადგეთ, ჩემო მეგობრებო. მივეცნეთ ხელოვანის ძა-
 ლა-გაელენას. დადგით თქვენ, სურათი.

მარინა (სხვებს ანიშნებს). ახლა ათვალთერეთ, ბენუელებო!

რომანო (სურათს დასდგამს). სინათლე აქედამ უნდა სცემ-
 დეს. ეს ფარდა აჰხადეთ, ეგ კი დაუშვით. ქარგი. (მანზედ ვაღ-
 ვება). ეს გახლავსთ ამბავი მირგინიასი და აპპიოს ძლიადლიოსისა.

(ხანგრძლივი, მრავალ მნიშვნელობიანი სიჩუმე, და სამსობაში

უველანი სურათს სინჯავენ).



პერინა (თიქოს ზეგარდაპო შთაგონებით). მტრისხანებო! გან აღენთე, თეთრ-თხოვანო მამე! აპაი, მტარეალო! სძრწი განა? რაზედ გაფითრებულხართ აგრე, მსდალო რომაელებო! მიპყევით, რომაელებო! სამსხვერპლო დანამ იელეა! მომყევით მე, მსდალო ბენუელებო! შეემუსროთ ღორიები! შეემუსროთ! შეემუსროთ! (სურათის წინ ხმალს იქნევს).

შიესკო (ღიმილათ მბატვარს). ნუ თუ ამაზედ მეტი ქება ღა გინდათ? თქვენმა სურათმა ეს მოხუცი უწევრო მოცნებელად გადააქცია.

პერინა (ქანც გაწვევითილი). სადა ვარ? რა იქნენ... ნუ თუ საპნის ბურთებ-ავით გაპქრინენ? შენ აქა ხარ, შიესკო? ბანა მტარეალი ისეც ცოცხალია, შიესკო?

შიესკო. ხომ ჰხედავ? მე მგონია, შენ ისე გაშტერდი, რომ ყურებიც დაგავიწყდა. ამ რომაელის თაფი გაცვების ღირსად მიგაჩნია, განა? არა ღირს, თაფი ანებე! მს ქალი არასჯობია შაგას? აბა უყურე, რა სიმშვენიერე გამოსჭვირავს ამ გაფითრებული ტუჩებიდგან — და! მიუბაძვია, ღეთაებროვია, რომანო! შეხე ამ მკერდის დამაბრმობელ სითეთრესა, უკანასკნელ სუნთქვის ტალღას რა დიადად აუწვევია! რაც შეიძლოთ ამ ნიშფებისთანა ბერი დახატეთ, რომანო, და მაშინ თქვენს გამოხატულებას მუხლს მოუდრეკ და ბუნებასაც განტევეების წერილზედ ხელს მოუწერ.

ბურბონინო. პერინა, ნუ თუ ამ სიტყვების მოსმენას მოელოდდი?

პერინა. მაქაცად იყავ, შეილო! ღმერთმან განგვარიონა შიესკო ხელი, სჩანს ჩვენნი ხელი აურჩევია.

შიესკო (მბატვარს). მაშ აგრე, — ეს თქვენი უკანასკნელი შრომაა, რომანო! თქვენი გამოხატვა სულ დაშრეტილა. ამას

იქით კალამს ხელი აღარ უნდა მოჰკიდოთ. მაგრამ ხელოვანი-
საგან გაცემულს, აკი მისი ხელოვნება არ დამეფიქრებია. მისი
ნია, რომ ვადგე და ამას უყურო—მიწის ძერაც გამომგებაროს
ყურადღებებიდან. წაიღეთ თქვენი სურათი. მე რომ ამ შიშვე-
ნიას თავეში ფასის მიცემა მოვისურვე, მგონია, მთელი გე-
ნუას დაგირაეება მომიხდებოდა. წაიღეთ თქვენი სურათი.

რომანო. დიდება—ჯილდო არის ხელოვანისათვის. სა-
ჩუქრად მომიერთმეცია ეს სურათი. (წასვლას აპირებს).

ფიქსკო. სიტუა მოითმინეთ, რომანო. (მედიდურად დადს
ოთახში და თითქოს რაღაც დიდ საგანზედ მფიქრობს. ხან-დახანო იქ მუო-
ვთ თვალს გადაავლებს, სწრაფს, მაგრამ გამკერტს, ბოლოს ხელს მოჰკი-
დებს მხატვარს და სურათთან მიიტანს). აქ მოდი, მხატვარო. (ამაყ-
ებით და ღიროებით). შენ იმით ამაყობ, განა, რომ შეგიძლიან სი-
ცოცხლე მკედარ ტილოზედ გადილო და ასე მკირუდას
შრომით საუკუნო გახადო უდადეგი საქმეები. შენ მედიდუ-
რობ პოეტური აღტაცებით, შენი გამოხატულობის ცელკო-
ბით, რომელსაც უგულოდ და უძალოდ მიჰყევხარ უდიდესო-
ბამდის. ტილოზედ მტარვალებს მკუსრავ — თითონ კი საცოდა-
ვი მონა ხარ. მართი კალმის მოქნევით რეპუბლიკებს ანთა-
ვისუფლებ, და შენი საკუთარი ბოროკილები კი ვერ დაგიმტე-
რეცია. (ბანებით). წადი! შენი შრომა—მასხარობა! საქმი ს
წინაშე მოჩვენება უედა გაქრეს! (მედიდურობით წაქცევს სურ-
ათს). მე ის მოვიქმედე, რაც შენ — დახატე. (შეუღანი შეძრ-
წუნდებიან. შემკრთალს რომანოს მიაკვს თავის სურათი).

გამოსვლა მეფრამეტე.

ფიქსკო. ვერიცა, გურბონიინო. საპკო. კალკანიო.

ფიქსკო (საზოგადო სინდისი შეძევს). თქვენ გეგონათ, რომ



ლომაა სძინავს აქაო და არა ბრდღეინაედა? ნუ, თუ შენ თქვენ ისე თავის მოყვარენი ხართ, რომ იმის წარმოდგენა შეუძლებელით, ვითომც მარტო თქვენა ჰგრძნობდით ზენუის ბორკილსა? მარტო თქვენა ვსურდათ იმ ბორკილის დამტერევა! მიღრე თქვენ შორიდგან გაიგებდით იმის ხმას, შეესკომ კიდევ დაამტერია ისინი. (შუას აღებს, ერთ ნაკრულ წერილებს ამოიღებს იქიდგან და სტოლზედ გაქუანტავს). ა ი პარმელი სალდათები, ა ი საფრანგეთის ოქრო, ა ი პაპის ოთხი გაღერა. აბა რაღა აკლია, რომ ბუდიდგან ამოვადგოთ. აბა თქვენის აზრით რა გამიშვია ყურადღებიდგან? (ყველანი თავზარ დაცემულნი დადუმებულან, შეესკო სტოლთან მივა და საკუთარი ღირსების გრძნობით ლაპარაკობს). რესპუბლიკელებო! თქვენ მტარვალის შეჩვენების შნო კი გაქვსთ, მაგრამ მისი ჰაერში აფეთქება კი ვერ შეგძლებიათ. (მერინას გარდა ყველანი მუხლს მოუდრეკენ შეესკოს).

მერინა. შეესკო! ჩემი სული დრკება შენს წინაშე, მაგრამ მუხლებს კი ამის ძალა აღარა აქვსთ. შენ—დიდებული კაცი ხარ; მაგრამ—ადექით, ზენუელებო!

